

გაზეთი ღირს:

Table with 4 columns: თვე (Month), მან. კ. (Man. K.), თვე (Month), მან. კ. (Man. K.). Rows for months 12, 11, 10, 9, 8, 7.

ივერია

ნიკოლოზის ქუჩა, № 21

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებამათ დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამაგრ. საზოგადოების კანცელარიის ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეორეზე 8 კაპ.

კალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საფთვობა საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ასოციაციის

დ ე კ ე

იმყოფება ტფილისში მუხრანთან ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალო გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლები და საღებავები...

გ ა ნ ყ ა უ ი ლ ე ბ ა

სასახლად ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—43—46)

ამა მდგომარე ივნისის 18 რიცხვს გაცემა

ს ა მ ა რ ი ა ჯ ა ჯ რ ი ბ ი თ

ჭიათურის ეკლესიის ამენების საქმე. ვინაც ვაჭრობაში ჭურჭის მონაწილეობის მიღება, უნდა გამოცხადდეს...

„ივერიის“ რედაქციისათვის. ვინაც ჭურჭს, ზირველ ივლისიდან განუთხარს გზაზე ან...

მოქსნოს, უნდა წარმოადგინოს განუთხარის სვედრი ფული ივლისისავე ზირველ რიცხვამდე.

ფელეტონი

იმ ხალხს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც არა აქვს, ან როგორმე დაუკარგავს ეროვნული თვით-ცნობიერება, არ შეუძლიან თავის თავს ერი უწოდოს...

რასაკვირველია, არა მარტო ამ ჯგუფის საერთო შთამომავლობა, არა მისი წევრების საერთო დედაენა, არა ერთი მიწა-წყალობა...

ქართული წარმოდგენა ტფილისის საზაფხულო კლუბში შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.

ქართული თეატრის არტისტები: მ-ბ-ნენი ნ. გაბუნია-ცაბარლისა, ა. კარგარეთელი; ბ-ნენი ვ. აბაშიძე, კ. მისხი და ვ. გუნია გამართავებ პირველ წარმოდგენას.

დ ა თ ე ვ ი

ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: მძვს უაშურიდან მანათ-ნახმვარამდე. კლუბის არა წევრნი ბაღში შესვლისათვის 50 კაპ. იხდებიან.

პირველი კერძი სამეურნალო

ექიმის ნავასარდიანის (კუკიაში. ვორანცივის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

სი) და საზარდეს ავადმყოფობანი. ე. მ. ჩაქვანია. 9—10 საათ. სწულდება: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასანტი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს. კ. ი. გუგუშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამეურნალოსი დოქტორი შედიგინისა ნავასარდიანი. Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

სკოლა და პანსიონი

ა. მამულიაშვილისა ამზადებს ყაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის. ილგას ქუჩა (Ольгинская), № 13. (10—35—4)

ტფილისის კერძი სამეურნალო

მიხეილ გუგუშვილისა, კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორანცივის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა. დ ი ლ ი თ: გ. ი. ჭაჭანაძე—კბილის სწულდება, 8—10 საათ. მიხეილ გუგუშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. ა. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საზარდესი—1 1/2—2 ს. ს ა ლ ა მ ო თ ი: ო. ნ. თუქანაშვილი—დედთა სწულდება—5—6 საათ. ა. ა. ბეგთაბეგოვი—შინაგანის

ვასწავლოთ ლიტერატურა, ისტორია; ერთის სიტყვით, გავუღვიძოთ, გავუცხოველოთ ეროვნული თვით-ცნობიერება. მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი მაგრად და ძლიერად დაადგეს განვითარებისა და წინსვლისა...

\* იხ. „ფილოსოფიური დიალოგები“.

(სტამბის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევიანი 5-6 საათ.

კვირალი:

გ. გ. მაღალაშვილი—10-12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: გორის მაზრის უფროსის უმცროს თანამშრომელ თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს-როტმისტრი თავ. ჯანდირი ბორჩალოს მაზრის უფროსის უფროს თანამშრომელ თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს-როტმისტრი თავ. შიძე განჯის გუბერნიის საპოლიციო დარჯის ოფიცრად.

გზაობა: ტიტულიარნი სოვეტნიკობა ბაქოს დამოყენის ხაზინადარს ტატიშვილს; კოლეჯკა რეგისტრატორობა: ნოვოროსისკის დამოყენის მოხელეს სანიკიძესა და ბათუმის დამოყენის კანცელარიის მოხელეს ავალიანს.

ახალი ამბავი

კვირას, 17 ივნისს, სიონის საკრებულო ტაძარში, საქართველოს ექსარხოსის ფლადიანესა, გორის ეპისკოპოსის კირონისა და ქალაქის სამდიდლოების თანადსწრებით მისაგებებენ ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის სასწაულთ-მოქმედს ხატს. ეს ხატი 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს საკრებულო ტაძრის ეზოში ცეცხლ-წაქიდებულ ნივთთა შორის იპოვნა. ი. სავანელის ბებიამ, ბნმა ი. სავანელმა შესწირა ხატი სიონის საკრებულო ტაძარს კრწანისის ბრძოლის

ლებელს ელემენტს შეადგენს ის ერის ცხოვრებაში! ეს ქეშპარტება ღრმად შეგნებული ჰქონდათ და აქვთ ევროპის მოწინავე ერებს და, თუ დღეს იქ ამ საგნის შესახებ მოწოდება და სჯა-ბაასი ხშირად არ იმის, ეს იმიტომ, რომ ეროვნების სიძლიერე და აუცილებლობა მათში აქსიომად აღიარებულია და დიდი ხანია საძირკვლად და სარჩულად უდევს იმათს კულტურულს წინმსვლლობას...

რა სურათს წარმოადგენს ამ მხრივ ჩვენი სამშობლო-საქართველო? აქვს თუ არა მას საფუძვლიანი, გარკვეული და შეგნებული თვითცნობიერება, რომელზედაც უნდა დამყარდეს მისი მომავალი განვითარება-წინმსვლლობა?

ქართველებს ოდესმე ჰქონდათ ღრმად შეგნებული ეროვნული თვით-ცნობიერება, რომლის სიძლიერე, როგორც ვიცით, დიდხანს ვერ დაასუსტა და ვერ შეშფოთდა ულმო-ბელმა მტრის ძალამ. ქართველების განსაკვირვებელი სულის სიმბნვეე, მამაცობა, მამულისათვის თავის განწირვა, სამშობლოს ღრმა სიყვარული, წყურვილი სწავლა-განათლები-სა—ყველა ეს მსულდგმულებდა, ძალ-ღონეს იკრებდა, იფურქნებოდა ეროვნულ თვითცნობიერების მეოხებით. ეს ეროვნული თვითცნობიერება იყო ის უშრეტო წყარო,

ასის წლის შესრულების სახსოვრად, ხოლო მისის უდიდებულესობის კარის გოგამისტრმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ თავისი ხარჯით შეამკობინა ეს ხატი ძვირფასის ბუდიოთა და სამოსლით.

გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ცხენის რკინის გზის მეთვალყურეობა. სხდომაზედ მიწვეულნი იყვნენ ბელგის უსახელო საზოგადოების დირექტორი ბნნი ბლანში და რიღინსკი. ლაპარაკი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ შემკეთებულ იქმნას ცხენის რკინის გზის ლიანდაგი და საზოგადოდ მეტი ყურადღება მიექცეს ამ გზაზედ წესიერებას. დირექტორმა კომისიას აღუთქვა რკინის გზის შეკეთება, ხოლო სრულად მისი გამოცვლა არ მოხერხდება, რადგანაც მალე უნდა შეუდგეს საზოგადოება ელექტრონის ტრამვაის გაკეთებას და მაშინ მთელი ლიანდაგი ამის დაგვარად იქნება გადაკეთებული. კომისიამ გადაწყვიტა დირექტორებთან ერთად შაბათს, 16 ივნისს, ხელმოკრედ დათვლიეროს გზები იმის შესამოწმებლად, თუ სად უნდა იქმნას გზა შეკეთებული.

როგორც შევიტყუთ, კავკასიის საბეთალო ნაწილის გამგეობის კომიტეტს გადაუწყვეტია, რომ წელს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ საქსპონატოდ არ იქმნას მორეკილი კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან ოთხფეხი შინაური საქონელი, რადგანაც ამ შამადაც არ არის სრულიად მოსაბილი საქონლის ქირი და შესაძლებელია გამოფენის დაწყებამდეც არ გათავდეს, და გამოფენაზედ საქონლის მოყვანით შესაძლებელია უფრო

რომლითაც საქართველო მხნვედებოდა; ის იყო ის ციხე-გალავანი, სალი კლდე, რომლის შემუსრვა და დანგრევა მტრებმა ვერ შესძლეს; ის იყო ის მოჯადოებული წრე, რომელსაც მუხანათებმა ფეხი ვერ გადაბიჯეს.

ქართველობას რომ ასეთი ღრმა, საფუძვლიანი და შეგნებული ეროვნული თვით-ცნობიერება არა ჰქონდათ, იმნაირ ისტორიულ გარემოებებში იყვნენ მომწყვდეულნი, რომ აუცილებელი ეროვნული სიკვდილი მოკლოდათ და არც არაფერს საყურადღებოს შექმნიდნენ.

ამ თვით-ცნობიერების წყალობით კი მათ შექმნეს თავისებური სახელმწიფოს წეს-წყობილება; შეიმუშავეს კანონმდებლობა; განავითარეს ლიტერატურა, მეცნიერება და ხელოვნება-მოდერნობა; გამოიჩინეს სამაგალითო ზნეობრივი თვისებანი და სხვა და სხვა. თვით ცნობიერებამ შექმნა ქართველები ისეთ ერად, რომელსაც ისტორიკოსები „ქრისტიანობის გოლიათებს“ და „ჯვაროსნებს“ უწოდებენ...

მხოლოდ მეცრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველოსთვის „ღრონი იცვალნენ“: წინა საუკუნეების, მომეტებულად კი მეცრამეტე საუკუნის, თავზარმა საქართველოს ერი მაჰალა, ქანცი გაუწყვიტა, თავისის თავის იმედი დააკარგინა და

რო მოედვას ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებს საქონლის ქირი.

დალისტინის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა შეატყობინა კავკასიის გამოფენის კომისიარს თავ. ი. ზ. ანდრონიკოვილს, რომ გამოფენის გამმარაველ კომიტეტის დაღესტნის ოლქის განყოფილებას მსურს კავკასიის გამოფენაზედ გამოგზავნოს დალისტინისა და თერგის ოლქის მეურნეობა-მრეწველობის საუკეთესო ნაწარმოებნი, მაგრამ ადგილობრივ დამმარაველ კომიტეტს არავითარი საშუალება არა აქვს განახარციელოს თავისი განზრახვა, ამიტომ კარგი იქნება იმ 200 მ. გარდა, რომელიც მივიღეთ, კიდევ დაგვემაროს გამოფენის გამგე-კომიტეტი ფულის გამოგზავნით, რომ ღროზედ იქმნას შეკრებილი და ტფილისში გამოგზავნილი ექსპონატები.

ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მე-VII კლასში წელს სწავლა დაამთავრა 51 მოსწავლე ქალმა, ამათგან 26 ქართველია. ჯილდო მიიღო ოთხმა ქალმა: აგნესა თუმანიშვილმა, ელენე თუმანიშვილმა, ანა ჩარკვანმა ოქროს ჯვრები, ხოლო ეკატერინე ჩოჩუა ვერცხლის ჯვარი.

როგორც ხარკოვიდან გვაცობინებენ, იქაურ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ სწავლა დაუმთავრებია 76 კაცს. ქართველი ერთი ყოფილა, — კ. ჯაფარიძე, რომელსაც პირველი ხარისხის დიპლომი მიუღია.

წელს ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია სულ 35 ყმაწვილს, მათ შორის 16 რუსია, 10 სომეხი, 3 პოლონელი, 3 ებრაელი, 2 ნემეცი და 1 ქართველი — კ. ვაჩაძე.

კოდორის ნაწილში, მდინარე ჩხალთაზედ, სადაც მაქსიმოვის მემ-

იძლებულ ჰყო დროშა ქრისტიანობისა და ეროვნობისა ერთმორწმუნე ხალხისთვის ჩაებარებინა... ქართველი ამით თითქოს მოსვენებას მიეცა, რადგანაც მან თავიდან მოიშორა უპირველესი და უმთავრესი თვისი მოვალეობა — სამშობლოს, სარწმუნოებისა და ეროვნობის დაცვა. მას დაუდგა ახალი ხანა, ახალი დრო, მაგრამ ამ ახალ დროს მან აღლო ვერ აუღო და ვერ შეეწვია. იგი აირია, მოსაზრება შეუსუსტდა და თითქმის ყოველივე გონიერული მიზანი გაუქრა. თუმცა მოსალოდნელი კი იყო, რომ მოსვენების დროს ის ღონეს მოიკრებდა, მოღუნებულ ძალ-ღონეს გაიცხოველებდა. ნამდვილად კი, სამწუხაროდ, სულ სხვა ნაირად დატრიალდა მისი ბედ-იღბალი: სწორედ ამ დროს იმის დროს მას გაუქრა საზოგადოიდელი და გრძობა; დაჰკარგა საუკუნოებით შემუშავებულ-შეზავებული თვით-ცნობიერება, გონების სიმახვილე და მხნეობა; იგი ჩაითრია უაზრო და ქარაფშუტა ცხოვრებამ. კუჭი, ქეფი, არშეყოფა, — აი რა გაამეფა ახალს გარემოებებში ჩამდგარმა, ოდესმე მხნემ, მამაცმა და შეგნებულმა ქართველმა ერმა...

წელნი მიდიოდნენ, მაგრამ ქართველი ერი შეგნებულ ცხოვრების ნიშან წყალს ვერ იჩენდა: პირ-იქით, ის თან და თან ეროვნულად უძ-

ვიდრეთა ხე-ტყესა ჰკრავენ ტივებად, უბედურობა მოხდა: შეკრულ ტივიდან გამოვარდნილია ხემ იმსხვერპლა 8 მუშა—რაქველები. („ჩერნ. ვესტ.“)

როგორც ქუთაისიდან აქაურს გაზეთებს დეპეშით აცობინებენ, 12 ივნისს ნიკოლაოს ქუთაისისა და ონს შორის გზა გაუფუჭებია და მიმოსვლა შეუჩერებია.

სამშაბათს მომხდარ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალ გამგეობის კრებაზედ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა წინანდელი თავმჯდომარე ვ. სულხანი შვილი, ხაზინადრად—წინანდელივე ხაზინადარი ვ. ყიფიანი, ხოლო მდივანად—გ. რუხილაძე.

კავკასიის საღვთისწავლო გამოფენის გამგე კომიტეტს გაუზახანია განჯის გუბერნატორისათვის 200 მან. სხვა-და-სხვა ექსპონატების შესაგროვებლად და ტფილისის გამოფენაზედ გამოსაგზავნად.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანსხველს სხდომაზედ გადაწყვიტა: რადგანაც ქალაქის შუაგულში ერთადერთი ალექსანდრეს ბაღია, სადაც ხალხს შეუძლიან სადამახოთ სერენობა და დასვენება, გადაიფოს ქალაქის საშუალებადან კიდევ 528 მან., რომ საშუაგულად იქმნას ბაღი მოწყობილი. დადგმულ იქნება საუკეთესო სისტემის ფანები, სამი ბაღის შუა ალაგას და ერთი ზემო ნაწილში.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუგეგმა მიკოგოვის სემინარისთვის გამოაგვიფოს საბაღისნა სკოლაში ვახის ფესვის სიდამდე.

ქალაქის სასანიტარო-სამეურნეო ინსპექტორის სტუპანოვის, ქალაქის 8 ქაშაფისის ალაბუგოვის და ერთის მეურნაისაგან შესდგა კომისია, რომელსაც უნდა დათვალიეროს ყველა ლუდისა და კვასის ქარხნები.

ლურდებოდა, სუსტდებოდა, კინდებოდა და ქარაფშუტულად ჰრყენიდა, ჰკარგავდა ყველა იმას, რაც მამა-პაპათ სისხლით დაიცვეს და სამემკვიდროდ ჩააბარეს.

მართალია, აქა-იქ თითო ოროლა შეგნებული, თვისის სამშობლო ქვეყნის ერთგული და მხნე აღამიანი ყოველთვის ერია ქართველებში, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო. სავალლოდ მათი ძალ-ღონე და მოქმედება თითქმის უნაყოფოდ იკარგებოდა საზოგადო ცხოვრების უფერულობა-დაწვრილობაში...

მაგალითად, ამ საუკუნის მეორე მეოთხედში „შეიკრა ის ბრწყინვალე წრე გონება ვახსნილ ყმაწვილ-კაცებისა, საიდგანაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორი გიორგი ერისთავი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათაშვილი, ალ. და დ. ორბელიანები და სხვა“ 1).

მაგრამ რა გავლენა უნდა ჰქონდა ამ გონება ვახსნილ ყმაწვილ-კაცების ბრწყინვალე წრეს“ ისეთ დროში, როდესაც მთელს საქართველოს უაზრობისა და ქარაფშუტობის ზეწარი ჰქონდა გადაფარებული? რა ნაირად უნდა გამოეფხიზლებინა, როგორ უნდა მოეყვანა გონს „ორი-

1) იხ. გ. ორბელიანის მოკლე ბიოგრაფია, ილ. კავკავიძისა.

ამავე საბჭოს დაუგეგმა მიკოგოვის სემინარისთვის გამოაგვიფოს საბაღისნა სკოლაში ვახის ფესვის სიდამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ტფილისის სატექნიკო და რკინის გზის სასწავლებლების ყოფილ მასწავლებელთა საერთაერთო მომხმარებელი საზოგადოების წესდება.

როგორც „ახ. შამ.“-ს ქ. გუმბრიდგან სწერენ, ადგილობრივი მისიონერული მისამართე ლ. გ. ნადირაძე ქ. ვახსში გადაჭყავთ თურმე. ბნ ნადირაძე 25 წელზედ მეტია, რაც გუმბრში მისხურებს და ყველას პატივისცემა დაიმსახურა.

13 ივნისს, დუგანის სადგურთან ტელეგრაფის სემინარისაგან ისრის ურიოდ დაყენების გამო მატარებლის № 402 7 ვაგონი ლიანდაგს გადასცდა თურმე. ბაქოდან მოაშველეს დამმარაველი მატარებელი ვაგონების ლიანდაგზედ დასაყენებლად.

როგორც შაქარლის სადგურიდან გვაცობინებენ, 13 ივნისს დღისით კინდამ უბედურობა მომხდარა რკინის გზაზედ: მავართა მატარებელი № 3 შეცდომით დასაყენებია იმ გზაზედ, რომელზედაც საქონლის მატარებელი იდგა. მავართა მატარებელი შეაჩერეს თურმე საქონლის მატარებლიდან 60 საყენის მანძილზედ.

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საბოლოოდ შეუმუშავებია რაზინებისა და მათის თანამშრომელთა არჩევის პროექტი, რომლითაც რაზინები და მისი თანამშრომელი არჩეულნი იქმნებიან სამლოცველო საზოგადოებათა მიერ დანიშნულ რწმუნებულთაგან.

ფინანსთა მინისტრი საყოველთაოდ აცხადებს, მინისტრთა კომიტეტის მიერ დიდგენილ იქმნა, რომ 25, 10 და 5 მინუთიანი ქალიღის

ოდ გონება ვახსნილ ყმაწვილ კაცის აუარებელი, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე და გაფუჭსავტებული ახალი თაობა, რომელიც ქეფით და რეტეანებული და ღვინით გაქვინითილი გაიძახოდა: დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა 2). სასაკლიოდაც ხომ არ ეყოფოდათ სულის ქვეთება-მისწრაფება ამ გონება-ვახსნილ ყმაწვილ კაცებისა“ 3) ამ გადაგვარების გზაზედ დამდგარ ქართველ დედებს და ქალიშვილებსაც, რომლებიც მაშინ, როგორც ზოგიერთები დღესაც უაზრო კისკისით დაჰმღეროდნენ:

„მეფას კაღისა, მაღისა, მძულს ვარდები და იაფ, სამშობლო რას მქეფანს, შექვერსამც წაუდაო“ 4).

რა ნაყოფი უნდა მოეტანა მათ გატაცებულს ქადაგებასა და უანგარო მოქმედებას იმ საზოგადოებაში, სადაც მაშინ ისეთი დედები მეტობდნენ, რომლებსაც ნ. ბარათაშვილი ასე ახასიათებს: „ქართული იცოდა, ისიც დაეწივებია, რუსულიც ვერ უსწავლა და ახლა არ ვიცი რამელ ენაზე დასწერს წერილსო“ 4).

(შემდეგი იქმნება) 2) ლექ. ალ. კავკავიძისა. 3) ავაკი. 4) იხ. ნ. ბარათაშვილის წერილები, წ. XII.



ფულე მიღებული იქნება ყველა სამართლებრივ კასსაში 1091 წლის 31 დეკემბრამდე.

როგორც საბაჟო გარდასახად-დეპარტამენტის ცნობებიდან ჩანს, 1901 წლის სამის თვის განმავლობაში რუსეთიდან გაუტანიათ საბაჟო საქონელი სულ 129 მილიონ მანეთისა, ე. ი. 1900 წლის 3 თვისაზე 116 მილიონით მეტი და 1899 წლისაზე—103 მილიონით მეტი. ხოლო რუსეთში შემოტანიათ საბაჟო საქონელი 120 მილიონ მანეთისა (1899 და 1900 წლებში—128 მილიონ მანეთისა).

საერთო განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სასწავლებელთა რეფორმისათვის მოწვეულმა კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. მინისტრმა მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს დავალებულ შრომის კეთილ-სინდისიერად შესრულებისათვის. კომისიის შრომათა მასალები დაყოფილი იქნება რიგობად და მალე სისრულეში მოყვანილი იქნება. შემოდგომამდე კომისია შეუდგება დედათა საშუალო და პირველ დაწყებით განათლების საქმის განხილვას. საერთო განათლების მინისტრის სახსუბოდ სიტყვა წარმოასტევა ე. ი. კოვალევსკი და მადლობა გამოუცხადა მხოლოდ თავმჯდომარეს კრების კამათობის დროს პირუთენელ ხელმძღვანელობისათვის და დაახასიათა კომისიის მეცადინეობა, როგორც ამომავალი მნათობი საერთო განათლების საქმეში. კომისიის შრომა, როგორც ჩვენ უკვე მოხსენებულნი ვკონდა, გავზავნენ სამოსწავლო ოლქების მზარდველთა პედაგოგთა საბჭოში, აგრეთვე გუბერნატორებს განსაკუთრებულ კრებებზე განსახილველად. ამ კრებებში მონაწილეობას მიიღებენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი, ქალაქის მოურავნი და კერძო პირნი, რომელთა აზრებს შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ამ საქმეს.

1902 წელს პეტერბურგში მოხდება საერთაშორისო გამოფენის ისტორიული და თანამედროვე ტანსაცმლისა. გამოფენის გახსენებულ კომიტეტში არჩეულ იქნენ: გამოფენის საბატო თავმჯდომარედ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ე. ი. კოვალევსკი, თავმჯდომარედ თავადის ასული მ. ს. შერბატოვი, ხოლო მთავარ კომისარად ა. თ. ისტროვადსკი.

ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს განსახლება თურმე აქვს კაიფენიუ ნანკინს შეუერთოს რკინის გზით.

„Ostasiatische Lloyd“ ამტკიცებს, რომ ჩრდილო ჩინეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი და დაწესებულებული არ არის. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებენ, მინგოლეთში დიდი მოძრაობა თურმე. ეჭვი არ არის, აქედან მიღებული ცნობების გარეშე და დაჭერება ძველია. მაგრამ ის-კი უთუოდ ნამდვილი უნდა იყოს, რომ გენერალი ტუნგ ფუსიანი და მინგო ტუნის შერის-საძებლად კმზადებთან და მხურ-სებულს დროს უცდინ, რომ თავის ძველ მეგობრებსა და მოკავშირეებს წინააღმდეგ ამოხედა მოახდინონ.

როგორც „North China Daily News“ ირწმუნებს, ჩინეთს გლეხებს თავის სიცოცხლეში იმპერატორი და ქვეყნი იმპერატორის პირველად მისი თურმე უნახავთ, რადგან სამეფო სხვალობა ჰყვინდგან სინანულში გაიქცა და ძველი ჩვეულება, აღმკრძალველი შეფის სახის ხილვისა (თურმე ჩვეულებათა ჰქონიათ შეფის უკვლავ დაქმდნისა და სხვა) არაფერს შექმნის, ვინც-კი წარჩინებულთა წესს არ ეკუთვნის. ეჭვი არ არის, იმიტომ, რომ ამით ხელში მოახულები ათასგვარი უსამართლობა და მასთან სიღარიბე მიეჭმად, უხილავ კქმნათ), ვადრ შეასრულეს ამბობენ, ზოგი ჭირი მარტულებია და ავი ჩინელებსაც ასე მოქსელათ: ქვერის იმპერატორის პირველად მისი გაუხილავი თვალი და უნახავს, თუ უხილავი მიწის მუშა ხალხი, გლეხობა, რა სიღარიბეს და გჭირვებაშია: ამათა სიღარიბე იმპერატორის თავ-ზარი დასცა და მთავარს მდივანს ვანგ-ვენსის გაუზიარა მისივე თავისი ფაქტია. სინანულში რომ მივდეთ, იმპერატორის მისივე ბრძანება მისცა გუბერნატორს, რომ დამოუკიდებელი და ნაფიქრად შევიწროებულთათვის დახმარება აღმოეჩინათ დახმარებაში ამას შესახებ უფროსათვის თვითონ იმპერატორის წარდგინათ უფრო-კი შეუხებელი იყო ამ სანახაობით იმპერატორი, რომელსაც თავის სიღარიბეში ასეთი უხელო და დასაჯრული, დასცადებულნი ხალხი არასდეს არ ენახათ.

**ინგლის - ტანსაცმლის ომნი.**

„Temps“-ის ღონღონელი კორესპონდენტი სანხრეთ-აღმოსავლეთ საქმეთა დეკანდელს მდგომარეობას ასე აცხადებს: „ამ ბოლოს დროს ბურები ირანს რესპუბლიკის ჩრდილო ნაწილში იერი-ბეობას, მაგრამ ამით მათი საერთო მოძრაობა არასა ჰკარგავს. გუშინ ვიუ-წუბობდი, რეიტის მახლობლად ინგლისელებსა და დეკეტის რაზმს შეტაკება მოუხდათ-მეთქი. როგორც კამპიტადი-გან ირწმუნებენ, დეკეტს რამდენიმე წერილი რაზმი შეუერთებია. „Star“ შექმნილს ამის გამო, რომ დეკეტის კვლად გამხენა უფრო ბევრად სპში და მახარალებელია, ვიდრე ვაქმანსტრეს-ტომთან მომხდარი დამარცხება; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ დეკეტს 70 ფურგენი და 4,000 სული ხარი კადეკელოდია, ეს ამტკიცებს, რომ ბურებს სურსათის მხრე ჯერ კიდევ არ უჭირთ და აგრე მალე ან დაიმშვიდნენ. გარდა ამისა, „Daily Mail“-იც ირწმუნებს, რომ ზოგჯერ ბაიერი, რომელიც ბურების ერთ უმრისხანეს ჯარის უფროსთა ითვლება, ბანაკთა ზანდ-რი-ვერ-პოსტში დაღვა, ვარმატადგან 30 მილის მანძილზეა. როგორც სტანდერტონიდან ირწმუნებენ, ბურებს განსახლება თურმე აქვთ ვადას გადავიდნენ და ბოტას შეუერთდნენ. მაგრამ ეს განსახლება მოჭრებული უნდა იყოს, რადგანც: მგვარს შემთხვევებში ბურები არასდეს ერთად არ იერიბებენ და სიღარიბე ბატარ-ბატარა გუნდებთა როგორც-კე-პარჩენ ინგლისის ჯარებსა. ის უფრო ტკუასთან ხალხი, რომ ბურებს უთუოდ სხვა რამ გეგმა აქვთ შემუშავებული და ამ მოძრაობით ინგლისელებს განსახლება თვალს უხევენ.

**შურნალ-გაზეთებისადმი**

ამოკრებილი ამბები

პირველი კომეტა ამ მეოცე საუკუნეში აღმოაჩინა ვარსკვლავთ-მრიცხველმა გალს-მა. გალსი კაპის ახალწინში სცხოვრობს; აღმოაჩინა კომეტა ამა წლის 23 აპრილს. კომეტა მეტად ბრწყინვალე ვარსკვლავს წარმოადგენს. როგორც გამოიანგარიშეს, ეს ვარსკვლავი თანდათან მზეს უახლოვდება თურმე.

20 წლის ტყვეობის შემდეგ ამ დღეებში გაუნთავისუფლებით ოსმალეთში კაპიტანი კუზიოსი, რომელიც 1877 წლის ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებაში იღებდა მანაწილეობას. კუზიოსმა, რომელიც 250 კაცს წინამძღოლობდა, ძალიან ისახლა მაშინ თავი თესალონიკისა, ებრისა და მაკედონი-ში. თესალონიკის საბერძნეთთან შემოერთების შემდეგ, კაპიტანმა მაკედონიში დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ამ დროს ოსმალებმა შეიპყრეს ისა და 48 სხვა კაცი, ბორკილები გაუყარეს და ციხეში დაამწყვდეს. 27 კაცი გამოვალმა წუთი-სოფელს ამ ტყვეობის დროს. კუზიოსი ნახევრად მშობრ-წყურვალნი იყო თურმე ამ ოცის წლის განმავლობაში. ორ დღეში ერთხელ აძლევდნენ მხოლოდ ერთ ნაჭერ გამხმარ და დაობებულ პურს. კუზიოსი და იმისი 21 ამხანაგი დღესაც დამწყვდეულნი იქნებოდნენ, რომ ინგლისისა და იტალიის ელჩნი არ ჩარეულიყვნენ ამ საქმეში. იმითი მეკადინობით თავისუფლება მიანიჭეს დამწყვდეულთ. კუზიოსი ესლა 77 წლის მოხუცია. საბერძნეთის მთავრობას გადაუწყვეტია პენსია დაუნიშნოს ამ ტანჯულ პატრიოტს, რათა უკანასკნელი დღეში მინც მოსვენებით გაატაროს.

ნალო წყლებზე. ამ მოგზაურობასაც დიდად აფასებს მკურნალი. ჩვეულებრივ ვიზიტს დღისით ბროუნინგი 80 მან. ანგარი-შობს, ღამე—160 მანეთად. ავადმყოფი გარდაცვლილა. მეკვიდრნი ესლა წინააღმდეგნი არიან ასეთის დიდის სასყიდლის გადახდას.

\*\*\*

როგორც გახეობები გადმოგვცემენ, ამას წინად ნიუ-იორკში რამდენიმე ბოროტ-განმზრახველს მოუტანია მაგალითი ედისონის, შესანიშნავ გამოგონის ედისონის 12 წლის მეტად ღამაში ქალი. ედისონს შემდეგ წერილი მოსვლია, რომლითაც ქალის გასანთავისუფლებლად და დასაბრუნებლად დიდ ფულსა სთხოვდნენ. სწორდნენ; ფული მთავი ერთ დანიშნულ ადგილას დაედო. ქალი მართლაც განათავისუფლეს. ედისონი არავის ატყობინებს თურმე დაწვრილებით ამბავს თავის ქალის მოტაცების შესახებ. ესლა ედისონის სახლს რამდენიმე პოლიციელი სდარაჯობს. როდესაც ქალი სკოლაში მიდის, თან ორი მოსამსახურე და ერთი პოლიციელი მისდებს.

\*\*\*

საფრანგეთის სასტატისტიკო დეპარტამენტის დირექტორს ეკ ბერტილიონს საყურადღებო წერილი დაუბეჭდია—„Temps“-ში საფრანგეთის მცხოვრებთა შესახებ. უკანასკნელის აღწერის დროს საფრანგეთში ყოფილა სულ 38,600,000 სული. მცხოვრებთა რიცხვმა იკლო ყველა დეპარტამენტში იმთ გარდა, სადაც დიდი ქალაქებია. თუ სენის დეპარტამენტს არ ჩავთვლით, საფრანგეთს 1896 წლიდან მხოლოდ 39,000 სული მოჰმატებია. სენის დეპარტამენტში-კი უკანასკნელ აღწერის დროს 292,000 კაცი მეტი აღმოჩენილა, ვიდრე 1896 წელს იყო. სენის დეპარტამენტში პარიკია, ამ ქალაქს-კი ყოველ წელიწადს მოავალი უცხოელი ემატება, ამით აიხსნება მცხოვრებთა რიცხვის გამრავლება. ბერტილიონის აზრით, თვით ფრანგთა რიცხვს არაფერი მოჰმატებია. შემდეგ ბერტილიონი სწერს, რომ 1850 წელს საფრანგეთს მცხოვრებთა რიცხვით ექვს დიდ სახელმწიფოს შორის მეორე ადგილი ეჭირა, ესლა-კი მეხუთე უჭირავს. ბოლოს ბერტილიონი ამბობს, რომ მალე საფრანგეთი მესამე ხარისხიან სახელმწიფოდ გარდაიქცევა.

დადგენილებას, მაგრამ ვადაპრით ვაცხადებ, რომ წინააღმდეგნი არიან ასეთის დიდის სასყიდლის გადახდას.

**ბერლინი.** „Reichs“-ში გამოქვეყნებულია, რომ რუდოლფ ვირხოვი არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა ორდენის „Pour les merites“-ის კავალერადია.

**ლონდონი.** ბარკლი-ისტიდგან ირწმუნებენ, რომ ფულში ბურთა ორის რაზმით გრენალმანდით გაემართაო. ბურებისა და ინგლისის დარაჯებს ბარკლი-ისტის მახლობლად ერთ-მანეთში თოფების სროლა ჰქონდათ.

**ჩიუშუ.** კორეის საზღვრიდან, სადაც უწყობებიანი მოხდა, აქ მოვიდნენ გამოქვეყნული, რომელიც ამბობენ, რომ სამი რუსეთისა და ორი ინგლისის სამხედრო გემი იალუსთანა სდგასო.

**პარიში.** სენატის სამხედრო კომისიამ პრინციპალურად მიიღო ორის წლის ვადა სამხედრო სამსახურისა.

**ლონდონი.** ბურთა უფროსი ვოლიე დურბანიდან აქ მოვიდა ლედისისათვის ამბის გადასაცემად. ვოლიემ განაცხადა, რომ საფუძველს მოკლებულია ის ხმა, ვითომ ბოტამ შემუშავა გეგმა ბრძოლის მოსობისა. ბოტას უკანასკნელ დღეებში ბრძანებაში მოყვანილია, როგორც ზავის დასადებლად აუცილებელი პირობანი—ორის რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა და სრული ანისტია კაპის იმ პოლიტიკისა, რომელთაც ბურების დასახმარებლად იარაღს მოჰკიდეს ხელი. ვოლიეს აზრით, ბურების საქმე რიგიანად მიდის ამ უმად.

**პარიში.** გენერალ ვუარინის დეპეშაში ნათქვამია, რომ 9 ივნისს ინგლისის ერთის გემით ტულონში წავიდნენ ზუავთა ერთი ბატალიონი და ახალშენელთა რაზმიო.

**ბრემენი.** სამხედრო სემის პირველმა პალატამ, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ხოლმე სამართალში მიცემა იმითი, ვისაც სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულობა ჰპარალებდა, უარ-ჰყო სამართალში მიცემა ბრემენელ მუშის ვეი ლანდისა და იმის საქმე მოსპო. „Weser Zeitung“-ის სიტყვით, ველიანდი გუშინ საღამოთი სულით-ავადმყოფთა საავადმყოფოში მოათავსეს.

**ბერლინი.** სამხედრო სემის პირველ პალატის გადაწყვეტილების შესახებ „Nor. Alleg. Zeit.“-ი ამბობს, რომ განაჩენი დავიწყებულია უმაღლეს სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელის ამ გვარსავე წინააღმდეგდაო. საქმე ველიანდისა საბოლოოდ მოსპობილ იქმნა. სასამართლო დარწმუნდა, რომ იმპერატორის წინააღმდეგ ბოროტი განზრახვა არა ჰქონდა ველიანდისა. იმპერატორი იმ საღამოს შემთხვევის მსხვერპლი შეიქმნა.

**შანჰაი.** პრინცი ჩუნი, იმ მისიის მეთაური, რომელიც გერმანიაში მიდის, პეკინიდან 29 ივნისს გავა, ხოლო შანჰაიდან პეკინში 7 ივლისს წავა.—აქ ამბობენ, რომ იმპერატორის ოჯახობა ჯერ ტიანძინში მოვა და აქედგან რკინის გზით პეკინს წავაო.

**პარიში.** სახელმწიფო სასამართლო. დღევანდელს სხდომამდე დაიწყო მოწვევა ჩვენების ჩამორთმე-

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**13 ივნისი.**

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 12 ივნისისა: „იმპერატორი ალექსანდრა თეოდორეს ასული კარგად ბრძანდება; თვით-გარბობიერება კარგი აქვს. ახლად შობილი დიდი მთავრინაც კარგად არის“.

17 ივნისისათვის დანიშნულია ნათლობა მალალ ახლად დაბადებულს დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოზის ასულისა.

ბიულეტენი 11 ივნისისა: „დიდი მთავრინა მარამ გიორგის ასული უწინდელგერ კარგად არის“.

**ოდესსა.** გზათა მინისტრმა დათვალეობა ნავთსადგური და ზოგიერთი ქარხნები და შემდეგ პეტერბურგში წავიდა.

**ტიანძინი.** როგორც ტაიენფუდგან ირწმუნებენ, ტუნფუსიანი იქ მოდის თურმე. მანისის გუბერნატორი უცხო-ქვეყნელებსა სთხოვს შემწეობას.

**სტოპკოლში.** მეფე ოსკარმა დამტკიცა სემის დადგენილება სახელმწიფოს დაცვის საქმის ახალ ორგანიზაციისა და სამხედრო ბეგარის ახალ კანონის შესახებ. მეფის დასამტკიცებელ სიტყვის ბოლოში ნათქვამია: „სახელმწიფო საბჭოს წევრთა თანხმად, ვამტკიცებ სემის ამ

## უცხოეთი

**ბერლინი.** „Glob“-ის კორესპონდენტი შემდეგს საყურადღებო ამბავს ირწმუნებს: ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს განსახლება თურმე აქვს კაიფენიუ ნანკინს შეუერთოს რკინის გზით.

ვა. ზოგიერთა პოლიციის კომის-  
რებმა განაცხადეს, რომ ვნახეთ  
ლიურსალიუსი და გერენი როგორ  
მიდიოდნენ ერთად ლონდონში ან  
იქიდან როგორ ბრუნდებოდნენ.  
გენერ. ტურლინდენმა სთქვა, რომ  
ჩემის აზრით დერჟულდის მიერ ფო-  
რის დასაფლავების დროს გამოწვე-  
ული ინციდენტი წინააღმდეგ მომ-  
ხადებული არ იყო. აფიცრები  
არც კი ჰფიქრობდნენ თავიანთ მო-  
ვალეობის დავალებას. ჯარი არა-  
სოდეს არ გადუხვეს მოვალეობას  
და იმის წინააღმდეგ არ იმოქმედებ-  
სო. შემდეგ ჩვენმა ჩამოერთვა პო-  
ლიციის პრეფექტს გენერალს ფლო-  
რანტენს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პა-  
ლატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ,  
როგორც უკანასკნელ ცნობებიდ-  
განა სჩანს, კაპის ახალშენში ინგ-  
ლისის წინააღმდეგ იარაღში ჩასმუ-  
ლი ათასი ან ორი ათასი ბურია,  
და ყოველ კვირეული სამხედრო  
ხარჯი სამხრეთ აფრიკაში უღრის  
ზედ-მიწვევით 1,250,000 გირვანქა  
სტერლინგსაო.

**იოკაბამა.** ჩუშინთან ფლოტის  
ვარჯიშობის დროს, იაპონიის სამი  
გემი ერთმანეთს დაეჯახა და, რო-  
გორც ამბობენ, ერთი მათგანი ჩას-  
ძირა, ამასთან რამდენიმე კაცი დაი-  
ხრო.

**ბარლინი.** „National Zeitung“-ი  
სწერს, რომ ლიბციგის ბანკის გა-  
კოტრებას არაფერი საერთო არა  
აქვს გერმანიის ბანკების მდგომარე-  
ობასთან საზოგადოდ და მსხვილ  
ბანკების მდგომარეობასთან განსა-  
კუთრებითაო.

**კაპუბატი.** რეიტან მომხდარ  
ბრძოლის შესახებ (ამ ბრძოლის  
დროს დევეტს სურსათის ურემები  
წაართვეს) ეხლა დაწვრილებით ცნო-  
ბები მოვიდა, საიდგანაცა სჩანს,  
რომ ინგლისელი მოულოდნელად  
დაეცნენ ბურებს; ბურები გაიქცნენ,  
მაგრამ, სცნეს რა ინგლისელთა სიმცი-  
რე, დიდს მხნეობით დაეცნენ იმათ,  
რადგანაც რიცხვით მეტნი იყვნენ,  
და ცხარე ბრძოლის შემდეგ, ურემე-  
ბი უკანვე დაიბრუნეს. ამ დროს  
პოლკოვნიკი დემლი ახალის ჯარით  
მივიდა. განახლდა მეტად ცხარე  
ბრძოლა; ბურები ურემე ქვეშ იწვი-  
ნენ და განუწყვეტლივ ისროდნენ  
იმ დროს, როდესაც ერთი ნაწილი  
მეომართა საქონელს აბამდა იმ ურ-  
ემებში და მიჰყავდა, რომელიც ინ-  
გლისელების მოშორებით იდგნენ.  
მაშინ ინგლისელებმა ხიშტებით იე-  
რიში მიიტანეს ზედ ურემებზედ,  
თაფებს მხოლოდ ძალიან ახლო  
მანძილზედ ისროდნენ. ბურთა უფ-  
როსი დელარეი მონაწილეობას  
იღებდა ბრძოლაში. იმის გვერ-  
დით ერთ მხარეს მოჰკლეს ერ-  
თი ბური, მეორე მხარეს დასკ-  
რეს მეორე. ბოლოს, საერთობრძო-  
ლა დანაწილდა და აქა-იქ წვრილ-  
წვრილი სახელდახლო ბრძოლები  
გაიმართა; დასასრულ, ბურები უკუ-  
გდებულ იქნენ. ორივე მხარე დი-  
დის ვაჟაკობით იბრძოდა. ინგლი-  
სელებმა წაართვეს ბურებს 71 ურე-  
მი; დევეტის შტაბის ერთი აფიცრე  
ბრძოლის დროს დაჭრილი, ტყვედ  
წაიყვანეს. — როგორც „Cap. Ti-  
mes“-ი იუწყება, პარლამენტის წევ-

რი, ალივალნორტელი ბოტა, ბუ-  
რებმა ტყვედ ჩაიგდეს, შემდეგ გა-  
როზგეს პარლამენტში ყოფილი  
სათვის სახელმწიფო ლატის შე-  
სახებ კანონის განხილვის დროს.  
იმის ფერმას ცეცხლი წაუკიდეს.

**პეტარბურგი.** გენერალი ფონ-  
მოლტკე და იმასთან ერთად მოსუ-  
ლი სამხედრო დეპუტაცია ხელმწი-  
ფე-იმპერატორის წინაშე წარსდგნენ  
ალექსანდრიაში.

**ტიანძინი.** გუშინ სალამოთი ტი-  
ანძინის განთავისუფლებიდან ერ-  
თის წლის შესრულების გამო გა-  
მართულ ნაღიმზედ თავმჯდომარე-  
დ არჩეულ იქნა გერმანიის ელ-  
ჩი ციმმერმანი; ელჩმა სიტყვა წარ-  
მოსთქვა, რომელიშიც მოიხსენია მა-  
მაცობანი რუსთა უფროსებისა, აღ-  
მირალის აღექვსევისა და გენ. ვო-  
გაკისა და ინგლისელ კაპიტანთა  
ბორკისა და ბეილისა, აგრეთვე ჯემს  
უატრესა. სხვა ორატორებაც შეა-  
ქეს რუსები.

**ვაშინგტონი.** ხაზინის მდივანად  
ნამყოფმა, რუსეთიდან ეს არის ენ-  
ლა დაბრუნებულმა ვანდერლიპმა  
განაცხადა, რომ ფინანსთა მინისტ-  
რი ვიტრე მგობრულად ექცევა ამე-  
რიკის და არავითარ სატარიფო ომს  
არ არის მოწადინებული; იგი არა  
ჰფიქრობს, რომ საქმე ამ ზომამდე  
მივიდეს.

14 ივნისი

**პეტარბურგი.** ბიულეტენი 13  
ივნისისა: „დედოფალი იმპერატრი-  
ცა ალექსანდრა თეოდორეს ასული  
სრულ განკურნების გზას ადგია. ძი-  
ლა ემატება, თვით-გრძნობიერება  
კარგი აქვს. კარგად არის აგრეთვე  
დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლო-  
ოვის ასული“.

**ბიულეტენი 12 ივნისისა:** „წარ-  
სული დღეები დიდმა მთავრინამ მა-  
რიამ გიორგის ასულმა ძალიან კარ-  
ვად გაატარა; ტემპერატურა და მა-  
ჯა ნორმალური აქვს“.

**მატარინოსლავი.** ცეცხლი 13  
ივნისის ჩაქრეს. ზარალა სამ მილი-  
ონზედ მეტია.

**კიევი.** სოფ. მატუსოვში შეიპყ-  
რეს ორი მთხოვარა, ორივე მოხუ-  
ცი, რომელთაც თან ორი 11 წლის  
ბავშვი ჰყვანდათ; ეს ბავშვები მო-  
პარულნი და დასახარებულნი არი-  
ან: ერთს ენა აქვს ამოჭრილი და  
თვალები ამოთხრილი, ხოლო მეო-  
რეს ხელები და ფეხები აქვს მოგრე-  
ხილი. ბავშვებმა განაცხადეს, რომ  
მესამე ყმაწვილი დასახირების დროს  
მოკვდაო.

**კანზარტი.** კაკამისიდან მო-  
სულმა ინგლისელთა მომხრე ფერ-  
მერებმა სთქვეს, რომ ნაროვასის  
ბრძოლის შემდეგ, რომელიც მოხ-  
და მოსაზღვრე მსროლელთა და კან-  
როემის რაზმს შორის, ბურები კა-  
კამისისკენ წავიდნენ და ორანგეს  
მდინარეს გადავიდნენ. კანროი და  
ვიკერსამი გერმანიის მიწა-ადგილ-  
ში გადავიდნენ გერმანიის მოხელეე-  
ბთან მოსალაპარებლად; ნემცები  
წინააღმდეგნი არიან შეიარაღებულ  
ბურების მიღებისა. დასასრულ ბურ-  
თა 38 ოჯახი გერმანიის სამხრეთ-  
აფრიკისკენ გაემართა, სადაც გერ-  
მანიის მოხელეებმა ბავშვები და დე-  
დაცაებე შიდიტდრიფტთან მყოფ  
ბანაკში მოათავსეს.

**პარსი.** უმაღლესი სასმართლო.  
ლიურსალიუსის დამცველმა ჟაკიემ  
დაამთავრა თავისი სიტყვა და ბრალ-  
ბულის გამართლება მოითხოვა. ლი-  
ურ-სალიუსმა თავის მხრივ სთქვა,  
რომ არაფერს არა ვუზღებ და და-  
რწმუნებული ვარ, რომ უკანონო  
და უწყისო არაფერი ჩამიდნიაო.  
სხდომა შესწყვიტეს, რომლის შემ-  
დეგაც სენატორნი სათათბირო ოთა-  
ხში შეიკრიბნენ.

**პარიზი.** ლიურ-სალიურს სასა-  
მართლომ ხუთის წლით განდევნა  
გადაუწყვიტა, ამასთან სასჯელის  
შემამსუბუქებელი გარემოებანიც  
სცნო.

**კაპუბატი.** წარსულ კვირას სა-  
მი კაცი ესლად გახდა ავად შავის  
ჭირით და 7 გარდაიცვალა.

**როტმარლამი.** საუზმის შემდეგ  
კრიუგერმა გაისეირნა, რომლის  
დროსაც ხალხი ალტაცებით ეგებე-  
ბოდა. 4 საათზედ დიდ-ძალი ხალხი  
და დეპუტაციები მიიღო კრიუგერ-  
მა. პრეზიდენტმა ყველას გულით  
მადლობა გადაუხადა სიტყვებში პო-  
ლიტიკას არ შეჰხებთან, კრიუგერმა  
სთქვა მხოლოდ, რომ ინგლისი ჯემს-  
სონსს შესევის შემდეგ მზად იყო  
ომისათვისაო.

**როტმარლამი.** კრიუგერი ამალით  
აქ მოვიდა დღეს დილით და ქალა-  
ქის საბჭოს შენობაში წავიდა ეტ-  
ლით, პრეზიდენტ ტრანსვალის  
აფიცრებად ნამყოფნი ახლდნენ. სა-  
ბჭოს საღვამში კრიუგერს მიეგებ-  
ნენ ქალაქის თავი და საბჭოს წევრ-  
ნი. კრიუგერმა მადლობა გადაუხა-  
და მათ კარგად დახვედრისათვის და  
სთქვა, იმედი მაქვს, რომ ღმერთი  
მალე განათავისუფლებს ჩვენს ქვე-  
ყანასაო.

**პეტარბურგი.** გამოქვეყნებულ  
იქნა დიდის მთავრინის ანასტასია  
ნიკოლოოვის ასულის ნათლობის  
ცერემონიალი. ნათლიებად იქნე-  
ბიან დედოფალი იმპერატრიცა მა-  
რიამ თეოდორეს ასული, პრინცეს-  
სა ირინე პრუსიისა, დიდი მთავარი  
სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი  
მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასუ-  
ლი.

**საშუალო სკოლის კომისიამ** შე-  
იმუშავა სააოების ცხრილი; იმ ცხრი-  
ლით უნდა სწარმოებდეს სწავლა  
ახალ-გადაკეთებულ საშუალო სკო-  
ლაში, რომელიც დღევანდელ კლა-  
სიკურ გიმნაზიებისა და რეალურ  
სასწავლებლების მეგობრებს გასწევს.  
ცხრილის თანახმად, სასწავლო სა-  
ათების რიცხვი კვირაში შეადგენს  
209-ს; ეს რიცხვი ასე იქნება განა-  
წილებული: სამღვთო სჯულის ყვე-  
ლა კლასში ასწავლან სულ 14 სა-  
ათს კვირაში, რუსულ ენას, სიტ-  
ყვიერებასა და ლოლიკას აგრეთვე  
ყველა კლასში—30 საათს, ლათი-  
ნური დიწყობა მე-4 კლასიდან და  
გასტანს ბოლომდე; კვირაში ლა-  
თინურს 16 საათი ექმნება დათმო-  
ბილი; პირველ ახალ ენას ყველა  
კლასში გაივლიან, კვირაში 20 სა-  
თი ექმნება დათმობილი; მეორე ახა-  
ლი ენა დაიწყობა მე-3 კლასში, 16  
საათი კვირაში; ისტორია ყველა  
კლასში—19 საათი, გეოგრაფიის რუ-  
სეთის აღწერითურთ ექვს კლასში  
გაივლიან, კვირაში 15 საათი ექმ-  
ნება დათმობილი; კოსმოგრაფიას—

7 კლასში, 2 საათი; მათემატიკა  
1—7 კლასებში, 28 საათი; ფიზი-  
კის მეხუთე კლასიდან დაწყობილი  
სულ 9 საათი, ბუნების-მეტყველე-  
ბას 1 კლასიდან დაწყობილი 9 სა-  
საათი, ხაზვასა და ხატვას 17. ხო-  
ლო მართლ-წერას—3 საათი.

**ლმისციზი.** დილის გაზეთების  
სიტყვით, ლეიპციგის ბანკის დირე-  
ქტორი ექსერი გუშინ სალამოთი  
დაუბატონრებით და ბრალმდებე-  
ლისათვის გადაუცაოა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ტფილისის სთავად-ახსნაურთა  
სკოლისსგან.

მიდინარე წლის ენებისთვისათვის  
ტფილისის სთავად-ახსნაურთა სასწავლე-  
ბელში სულ სამოცი (60) ვაკანსიას:  
ორმოცდაათი (50) პირველ განყოფი-  
ლებაში (7 და 8 წლის ემწავლებლის-  
თვის) და ათივ მეორეში (8 და 9 წლის  
ემწავლებლისთვის); სხვა განყოფილებაში  
და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თა-  
ვისყოფალი ადგილი არ არის, ამიტომ  
არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში  
ემწავლებლის მისაღებად.

60 ვაკანსიადგან 55 დანიშნულია გა-  
რედგან მისიარულეთათვის, 3 მისაღე-  
ბად საზოგადოების სრულ ხარჯზე და  
2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვისც საზოგადოების სრულს ხარჯ-  
ზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი  
ხარჯი არ შეეკისრება და ვინც ნახევარ  
ხარჯზე, იმან უნდა იხადოს წელიწადში  
ათ-ათი თუმანი.

ვისაც ქსურს მიღებულ იქმნას საზო-  
გადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა  
წარმოადგინოს თხოვნისთან ერთად შემ-  
დეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლეკა-  
ნობის მოწმობა, მიღებული სინოდის  
კანტორისსგან, ბ) სიდარბის მოწმობა  
მზრის თავად-ახსნაურთა წინააღმდეგ-  
ისგან და გ) უფავლის ატრის და ვან-  
მრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედგან მისიარულეთ ქსურს  
შემოსვლა, ამისთვის საჭიროა იგივე  
საბუთის ქაღალდები, შეუძლებლობის  
მოწმობის გარდა.

უკეთუ მოხეხელთა რიცხვი აღემა-  
ტება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვე-  
ვაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ  
წილის ურით. წილის ურამი მისაწილე-  
ობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომ-  
ელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის  
ქაღალდებს და ამისთანავე ეგზამენსაც  
დაიჭერენ წლეკანობის შესაფერ კლასი-  
სათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიი-  
ღებს ამ ემწავლებლს, რომელნიც არ  
წარმოადგენენ მათზედ დაწახედს წიას  
წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო  
წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის  
ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მისწავ-  
ლებების ხელ-მეორე გამოცდას შემდეგ,  
კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია ამა-  
თვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ  
ისურვებს ზანსიონში შემოსვლას, ან  
ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯ-  
ზედ შემოვა ზანსიონში, იმან უნდა შე-  
მოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი;  
ათი თუმანი შემოსვლისათხავე და ათი  
ანჯარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს  
20-მდის; ქაღაქ გარეუ მცხოვრებთ  
თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი  
ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣды-  
вающейму Дворянской школоу, на  
Лабораторной ул.

ავგისტოს 27 და 28 რიცხვებში  
სდება ხელმეორე გამოცდა მისწავლე-  
ებისა და 31 მისაღება მის-  
მენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწება.  
დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გა-  
რედგან მისიარულეთ მისწავლებნიც, რომ-  
ელნიც სკოლაში მისვლისათხავე წ  
წარმოადგენენ მომავალ 1901—1902  
სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.


ყველა ზანსიონურის მშობელთა უნდა  
წარმოადგინოს თავებო ტფილისში  
მცხოვრებთაგანი, რომელსაც სკოლა  
გამგეობას შეუძლოს მიმართოს, როგორც  
ფულის თავის დროზე შემოტანის  
თვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებისა.  
(5—6.—1)

ტფილისის ქალბქის გამგეობა  
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 16  
ივნისს, ნაშუადღევს 1 საათზედ,  
გამგეობის თანადსწრებით, მოხდება

საჯარო გაჭრობა

რომელზედაც იჯარით გაიცემა  
ბეტონის მილის გამართვის საქმე ამა-  
ღლების ქუჩაზედ ქამოვეის ქუჩი-  
დან იმავე ქუჩაზედ გამართულ მი-  
ლამდე. სამუშაო სულ 1424 მანე-  
თისაა.

მსურველთ შეუძლიათ პირობანი  
გასინჯონ გამგეობის ამშენებელ გა-  
ნყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-  
უქმეს გარდა, 9-დან 3 საათამდე.  
(3—5.—3)



როიალები  
ფის-გარმონები, სკრამპები, კო-  
ტრები, ფლეიტები, კლარნეტები,  
ორები სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ მ სამუსიკო იარაღს  
შეძეა შეიძლება ფასის წვირლ-  
წვირილად გადახდითა.

მ რ ე ს ე კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი  
მუქთაღ იგზავნება,

გაგვასა ს რეტორალი სწავლობა  
სამუსიკო ახრლებიას

ბ. ბ. შირინიანიანი

Музыкальное депо  
М. МИРИМАНЯНА  
Тифлисъ. Дворянская ул.  
(24—5.—12)